# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 94 ნიუ იორკი, ივლისი 1973 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JULY 1973


ნიუ იორკი, ივლისი 1973 წ.

ძვირფასო მეგობრებო და ქართული სათვისტომოს წევრებო!

ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა დღევანდელ დღეს თქვენთან ვიყო. ყოველთვის გამამხნევებელია წელიწადში ერთხელ მაინც ერთად ვიყოთ და ერთად აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ამავე დროს ეს არის დღე, როდესაც გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი, წარმოშობილ პოლიტიკურ მოვლენების შესახებ და ჩვენი იმედი და უიმედობაც ერთი მეორეს გაუზიაროთ.

როდესაც სათვისტომოს თავმჯდომარემ — ქ-ნმა ელ. ცომაიამ შემთავაზა დღევანდელ თავმოყრილობაში მიმეღო მონაწილეობა და ვყოფილიყავი მთავარი მოლაპარაკე, დასაწყისში უარი მოვახსენე, არ ვიცოდი, თუ რა შემეძლო მეთქვა და რით დავხმარებოდი საზოგადოებას. მაგრამ, როდესაც ამ საკითხზე დავიწყე ფიქრი, ჩემს თავში მრავალმა აზრმა იჩინა თავი, რომელთაგან ზოგი მინდა თქვენც გაგიზიაროთ.

რამოდენიმე დღის წინ, ისრაელმა იდღესასწაულა თავის დამოუკიდებლობის 25 წლის თავი. დღეს ჩვენ შევიყარენით საქართველოს 55 წლის სადღესასწაულოდ. რა აქვს საერთო ამ ორ მოვლენას? რადგან ისრაელი კვლავ დამოუკიდებელია, ჩვენ კი ეს დავკარგეთ, იქნება შეგვიძლიან მისგან რაიმე ვისწავლოთ?

უპირველესად მინდა აღვნიშნო, თუ რა აერთებს ამ ორ ქვეყანას, შემდეგ კი რა გვანსხვავებს და ბოლოს, მინდა მომავლის დსაკვნის გაკეთება.

ჩემის აზრით, ჩვენ გვაერთიანებს; 1. როგორც საქრთველო, ისე ისრაელი პატარა ერია 2. ორივე ქვეყანა გარსშემორტყმულია მუსულმანური ქვეყნებით, 3. ორივე ქვეყანა ეკუთვნის ებრაულ-ქრისტიანულ ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციას, რომელთაც აქვთ სამი ათასი წლის ისტორია, 4. ორივე ქვეყანა ფიზიკურ მოსპობას გადაარჩინა რელიგიამ, რომელმაც მიზნისათვის სიკვდილი გაადვილა, 5. ორივე ქვეყანას სწამს ოჯახის სიძლიერის მნიშვნელობა და ხანდაზმულობის პატივისცემა აქვთ, 6. ორიათასი წლის მანძილზე, როგორც ქართველების, ისე ებრაელების პრობლემა იყო მათი ფიზიკური გადარჩენა. ამ ბრძოლებში გამოიბრძმედა და ამან განაპირობა მათი მარადიულობა.

ამავე დროს ჩვენ ერთი მეორისაგან გვანსხვავებს:

1. ისრაელი, როგორც ერი 25 წლისაა, საქართველო კი 3.000 წლის, 2. ისრაელი ახალგაზრდა და დინამიურია, საქართველო ძველი და დაღლილია, 3. ისრაელი პრაქტიკულია, საქართველო იდეალისტი და მეოცნებე, 4. ებრაელი ფულში ხედავს ძალას და ამდენად მომჭირნე და ყაირათიანია, ქართველისათვის ფული მხოლოდ საშუალებაა ძალის შესაქმნელად, 5. ისრაელისათვის დღევანდელი ბრძოლა თვით გადარჩენის საკითხია. მათ არ შეუძლიანთ ყოყმანი და მათი არსებობა საკუთარ შვილების სისხლმა უნდა განამტკიცოს, წინაალმდეგ შემთხვევაში არაბებისათვის მათი წალეკვა საათების საკითხი იქნება. ქართველებს კი ნელა, თანდათანობით, მეთოდიურათ უპირებს რუსეთი მოსპობას. ამ შემთხვევაში ქართველებს სჭირდება ებრაელებსავით არა დაუყონებლივ ზარბაზანი და ყუმბარა, არამედ ნებისყოფა და სულიერი სიმტკიცე, 6. ისრაელი ამერიკის მხარდაჭერით ებრძვის მუსულმანურ სამყაროს, საქართველო კი რუსეთის მხარდაჭერით ებრძოდა მათ. 7. დროთა მსვლელობაში ისრაელი მრავლდება და მაგრდება, საქართველო კი სუსტდება.

ყველა ამ საკითხებს თვალს რომ გადავავლებთ და შევისწავლით, უპირველესად წამოიჭრება საკითხი: რა არის თავისუფლება?

ერი არ შეიძლება თავისუფალი იყოს, თუ მისი მოქალაქე არ არის თავისუფალი, ე. ი. პიროვნების მოქმედების შეუზღუდველობა ქმნის თავისუფალ საზოგამოებას, რომელიც ანმტკიცებს, ამჭიდროვებს საზოგადოების წევრთა ურთიერთობას. მიუხედავათ იმისა, რომ ებრაელობა გაფანტული იყო მთელ მსოფლიოში და ბევრ სახელმწიფოში ძალიანაც შევიწროებული, ებრაელურ საზოგადოებების თავისუფალმა მოქმედებამ შეინახა არამც თუ მათი ეროვნული სული, არამედ, როგორც კი ხელსაყრელი დრო დაუდგათ ისენი მომზადებულები აღმოჩნდნენ, რათა თავისუფალი ისრაელის სახელმწიფო შეექმნათ.

თუ მივიღებთ დებულებას, რომ ერის უკვდავების წყარო ისტორიაა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სხვა და სხვა ქვეყნებში არსებულ ებრაელთა თავისუფალი საზოგადოებების მოქმედება, ერთგვარი ისტორიაა, რომელიც საჭირო შემთხვევაში მთელ ერს გადაეცემა.

ჩვენი დღევანდელი თავშეყრაც, ჩვენი მოქმედებაც ამ საზოგადოოთ აღიარებულ პრინციპს ემორჩილება. ჩვენი მოქმედებითაც იქმნება ისტორია, რომელიც, თავის დროზე გადაეცემა საქართველოს. თუ ჩვენ გვინდა საქართველოს განმათავისუფლებელ საქმიანობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ, საჭიროა ენერგიულ მოქმედებასთან ერთად, უნაკლოდ შევინახოთ ისტორია, ჩვენი ენა, ეროვნული ფილოსოფია და ამით ვემსახუროთ საერთო მიზანს.

თავისუფალ საზოგადოების წევრებს აკავშირებს და მის წევრთა ურთიერთობას ამტკიცებს ენა, მშობლიური ენის დაკარგვა არსებულ საზოგადოებებს აკნინებს, ისევე, როგორც მის არსებობას აზრს უკარგავს ისტორიის და ეროვნული ფილოსოფიის უარყოფა. ერი, რომელიც ამ თვისებებს შეინარჩუნებს, ის იქნება თავისუფალი, რადგან თავისუფლების საკითხს სწყვეტავს არა სიმრავლე, არამედ შეგნება, არა სხეული არამედ გონება.

აქ წარმოდგენილი დებულებით ებრაელობის თავისუფლება არსებობდა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე 1948 წ. ეს ფორმალურად გამოვლინდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საქართველომ თავისი თავისუფლება 1921 წ. დაკარგა, დღეს უფრო თავისუფლები ვართ, ვიდრე 50 წლის წინ ვიყავით, რადგან მოცემულია თავისუფლების ყოველი პირობა. დღეს ქართულ ენაზე არსებობს რადიო, გაზეთი, მუსიკა. ბევრად უფრო შორს არის გასული ქართული ისტორია და უფრო მეტად არიან უცხოელები დაინტერესებულები მისი შესწავლით.

ებრაელების მაგალითმა დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივობა თავისთავად არ მოდის და მას წინ უნდა უსწრებდეს ენერგიული მოქმედება და დაძაბული მუშაობა. ყოველი ჩვენგანი, უცხოეთში თუ საქართველოში მცხოვრები ქართველი, ვგრძნობთ, თუ რა ენერგას ხარჯავს მოსკოვი, რათა წაგვართვას ენა, დაგვაშოროს ეროვნულ ტრადიციებს და მოგვტაცოს ისტორია. რამდენათაც მეტია მოსკოვის დაწოლა, იმდენად მეტი სიმხნევით უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვისებები და დარწმუნებული ვიყოთ, რომ მხოლოდ მოქმედებით და მარტო მოქმედებით შეგვიძლიან აღვიდგინოთ ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

**გ. ზალდასტანიშვილი**

(სიტყვა, წარმოთქმული საქარველოს დამოუკიდებლობის 55-ტე წლისთავზე)

## მ[illegible]რამდენეა?

**„ხან თუ მტრები აოხრებდნენ,**
**იყო მღვრელი ცრემლის ცხარის!**
**დრო ნეტარიც დასდგომია,**
**დრო დავითის და თამარის!“**

***

მთელი ჩვენი წარსული, სამშობლოსათვის გმირული ბრძოლების ერთ მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს.

ვინ არ შემოსევია საქართველოს, ვის არ აუკლია ის, მაგრამ ამკლებელთა შორის ყველაზე მეტად ისახელა თავი „მფარველად და მოკავშირედ“ შემოპარულმა რუსეთმა.

სრული ას სამოცდა ცხრა წელიწადია, რაც რუსეთი სჯიჯგნის ჩვენს ეროვნულ სხეულს, ცდილობს წაგვართვას ენა, სარწმუნოება, დაგვავიწყოს ეროვნული ტრადიციები და გვაქციოს რუსული ყაიდის ჯოგად.

უკანასკნელი 50-თი წლის მანძილზე კი განსაკუთრებული სიმწვავით განიცადა საქართველომ რუსულ-ბარბაროსული პოლიტიკა.

1921 წლიდან, ქართველებს ჟლეტავდნენ, ჯერ იმისათვის, რომ მათ „ქართველ“ სტალინს მხარი არ დაუჭირეს; სტალინის შემდეგ კი ქართული უმანკო სისხლს აქცევენ, თითქოს იმისათვის, რომ ქართველი ერი სტალინით მოხიბლულა და მისი ენტუზიასტი გამხდარა!

1:21 წლიდან, ქართველობას ჟლეტავდნენ, ლად, კრემლის მიერ შეთხზული ვერსია, დასავლეთის უნიჭო და ზარმაც „კრემლინოლოგებმა“ უცვლელად გაიმეორეს. ჭორიკანა სპეციალისტებმა ჯერ 1956 წ. დასცეს ყიჟინა და ხრუშჩოვ-მიქოიანის მიერ შეთხზული ვერსია გაიმეორეს: „ქართველები ვერ შეურიგდნენ სტალინის განგვირგვინებას და აჯანყდნენო“.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ამ პერიოდში მოსკოვის ყოველ ცვლილებას, იქ ამოტივტივებულ ახალ, წითელ პრინცს, თან მისდევდა და ეწირებოდა,მოსკოვის მზედაბნელებული პრინცის, თითქოს და ქართველი მიმდევრები.

წინამდებარე გაზეთის კატეგორიული განცხადებები, რომ სტალინის, ან ხრუშჩოვის მიერ დახვრეტილი, ან გადასახლებული და იძულებით შრომის ბანაკებში დაღუპულ ქართველების შვილები და შვილიშვილები, მათ სასარგებლო დემონსტრაციებს არ მოაწყობდაო, მუდამ რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მოსკოვ თბილისის ურთიერთობის დასახასიათებლად და ქართველების „სტალინისტობის“ ასახსნელად, ყველაზე საინტერესოა განვლილი უკანასკნელი წელიწადი.

გასული წლის გაზაფხულზე, ბრეჟნოვმა მოსკოვიდან დაუტატანა თბილისელ კომუნისტებს და თავის ყურმოჭრილ მონებს აგრძნობინა, რომ ბატონი კვლავ არსებობს და ბატონს ყმების საქციელი არ მოსწონს. იმ ჟამად ეკონომიური გეგმების ჩავარდნაზე იყო ლაპარაკი და თუ ქართულ ქათამს ორი კვერცხის დადება მოსთხოვა მოსკოვმა, მან კი, წესის მიხედვით, მხოლოდ ერთი დასდო, ცხადია, მოსკოველი ბატონები ამ თავხედობას, არც ქართულ ქათამს შეარჩენდნენ და არც ქათმის პატრონს.

თავის დროზე ამის გამოც საკმარისად „გადაიხნა“ ჩვენი მიწა-წყალი . . .

მას შემდეგ მოსკოვის უკმაყოფილება თანდათანობით გაიზარდა და ეკონომიური გეგმის შეუსრულებლობა გადაიქცა „საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვად“, „შავ ბირჟად“, „მექრთამეობად“ და სხ. ყველაზე მაგრად კი ხელი მოჰკიდეს განათლების მუშაკებს, პროფესორებს . . . მეცნიერებს . . . ეს ხომ ნორმალურია, ქართველი მეცნიერები ქმნიან საქართველოს უკვდავების საფუძველს, მაშასადამე, პირველ რიგში, სწორედ ისენი არიან მოსკოვისთვის მიუღებლები და „სტალინელები“. მაშ დაჰკათ ქართველ მეცნიერებს!

ქართული პროფესურის ყბად აღება 1956 წლიდან დაიწყო, როდესაც ჯერ ძოწელიძემ შეუტია მათ და განაცხადა; „ვის რაში უნდა ჯავახიშვილის, ჯანაშიას, ინგოროყვას და სხვათა ფეოდალური საქართველოს ისტორიებიო“. ხოლო იმ დროს კომკავშირის პირველი მდივნის, შევარდნაძეს სიტყვით „კომკავშირმა სავსებით დაკარგა სტუდენტების იდეოლოგიური კონტროლი და ისიც შესაძლებელია, რომ ეს ორგანიზაცია (ე. ი. კომკავშირი) სტუდენტებთან ერთად, ერთ საქმეს აკეთებდაო“.

ამ დღიდან დაიწყო შევარდნაძეს აღმავლობა . . . ზედმეტი არ იქნება მოვაგონოთ მკითხველს, რომ სწორედ ასევე დაიწყო ჯალათ ბერიას აღმავლობაც. როდესაც საქართველოს დაპყრობის შემდეგ სტალინი ეწვია თბილისს და მოინდომა თავის ძველ „კოლეგა რევოლუციონერებთან“ მუსაიფი და მათ მიერ გაბახებული დარჩა, მან ქართველ კომუნისტების ლიდერების კრებაზე განაცხადა; „ბევრი სარეველა ბალახი მოსულა საქართველოში და საჭიროა მისი გადახვნაო“. ძველმა კო- [illegible] სტალინის „გადახვნა“ და ელდა ნაცემები დარჩნენ. მხოლოდ იმ დროს უბრალო ჩეკისტმა ბერიამ დაიკნავლა; გადავხნავთ და ისე გადავხნავთ, რომ არასოდეს აღარ ამოვიდესო“. ამის შემდეგ ბერიას კარიერა ყველამ უწყის.

შევარდნაძეც, 1956 წ. შემდეგ, მეთოდიურად, ენერგიულად მუშაობდა, რათა მოსკოვის ყურადღება და ნდობა დაემსახურებინა, და აი, დადგა 1972 წ. სექტემბერი, როცა ბრეჟნოვმა მოიშორა ხრუშჩოვის მიერ დანიშნული, უკრაინელი ხალხის ჯალათი — მჟავანაძე და მის ადგილზე დანიშნა თავისი „ყური და თვალი“ შევარდნაძე. უკვე არა როგორც „კომსომოლისტი“, არამედ, როგორც გამოცდილი და პროფესიონალური პოლიციელი.

ედ. შევარდნაძე ახალგაზრდული სიმხნევით და ენეგრიით შეუდგა „ეკონომიური ჩავარდნების“ გამოსწორებას; ქართულ ქათამს ფეხი დააჭირა, მოსთხოვა ორი კვერცხის დადება . . . წინაალმდეგ შემთხვევაში ციხე, გადასახლება, სიკვდილი ქათამს . . .

მთელი საქართველო, კომუნისტური თუ ანტიკომუნისტური, გამოაცხადეს „სახელწიფო ქონების გამფლანგველად“. მთელი ქართველი ერი ქურდებად! ამაზე შორს განა შეიძლება წავიდეს დამპყრობელის ცინიზმი? საქართველოს შეუძლიან თუ არა, მოსკოვის მიერ დაკისრებული ულუფა უნდა გაიღოს . . . შევარდნაძე სრულებითაც არა ფიქრობს, რომ მოსკოვის მიერ საქათველოს დახარკვის წინაშე თემურ ლენგიც კი ფერწასულია . .. სტალინიდან მოყოლებული, ბრეჟნოვ-შევარდნაძით გათავებული, არავინ ჩაფიქრებულა, თუ რატომ გადაიქცა მთელი საბჭოთა მოსახლეობა, და კერძოდ, ბუნებრივად მხნე, მშრომელი და ისტორიულად პატიოსანი ქართველი ქურდათ? ჯერ კიდევ არა სურთ აღიარება, რომ საბჭოთა სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკა, თავის თავად შეიცავს ქუდრობის აუცილებლობას . . . უნდა აღიარონ, რომ საბჭოთა მეურნეობის სისტემა თავის გზით წავიდა, გარიყული და განცალკევებული პრაქტიკული ცხოვრებისაგან. „ქურდობის“ სათავე საბჭოთა წყობაა და არა პატიოსანი ადამიანის მოთხოვნილება.

გააუქმედ მოსკოვის სახელმწიფო დაგეგმის პრინციპი, მიეცით მშრომელს თავისუფალი შემოქმედების უფლება და თქვენ თვალწინ გადაიშლება პატიოსან მოქალაქეთა სამყარო; გამძღარი, ჩაცმული, დახურული, თავისი თავით კმაყოფილი და სხვისა უფლების პატივისმცემელი, მეზობლის მიმნდობი და დამზოგველი.

მაგრამ შევარდნაძესათვის ეს საკითხი არ არსებობს . . . მისი მოვალეობაა რუსეთის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და ისედაც გაძვალტყავებულ ქართველებს ხარკი ერთიორად გადაახდევინოს. უწინ გალაღებულ და მადა გახსნილ შაჰაბაზებს რომელიმე ერისთავი ეახლებოდა, შეავედრებდა „მაღალ ალაჰს“ და საქართველოსთვის გამოსთხოვდა ხარკის შემცირებას. დღეს ამ გამბედაობასაც მოკლებულნი არიან შევარნაძეები და მისი მსგავსი ლაქიები . . .

როგორც საბჭოთა პრესიდან სჩანს, შევარდნაძეს დიდი „რეორგანიზაცია“ მოუხდენია; „ლიბერალ-კომუნისტებს“ თურმე ლაგამი ამოსდო და მათი ადგილი მოსკოვის ერთგულ ყმებს ჩააბარა . . . საფიქრებელი იყო, რომ შევარდნაძე, ამის შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქავდა და თავის ბატონებს ვალმოხდილი, ლაქიური ღიმილით შეხედავდა თვალებში . . .

მაგრამ, ვაი უბედურებაამ! საბჭოთა კავშირის 50-ათი წლისთავთან დაკავშირებით, ბრეჟნოვმა, საბჭოთა ეროვნებების ერთ ერში (ცხადია რუსულში!) შერწყმა, ერთ საბჭოთა

## არა მხოლოდ საქართველოში...

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სადეფიციტო პროდუქტები განსაკუთრებული ვაჭრობისა და გამოძალვის საგნად არის გადაქცეული და რომ სახელმწიფო ვაჭრობის ყველა ორგანიზაციაში მძინვარებს სპეკულაცია, მყიდველების წონაში მოტყუება, დახლიდან ჩუმჩუმად გაყიდვა. მოკლედ, დაშვებული იყო უხეში დარღვევები და სხ.

აი, თურმე რა ნაკლულოვანებანი აღმოუჩენიათ საქართველოში. ეს დადგენილება ისეა შედგენილი და ისეთ უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თითქოს დარღვევებს და უ წ ე ს ო ე ბ ე ბ ს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში ჰქონდეს ადგილი და ეს მაშინ, როცა დადგენილებაში ჩამოთვლილი ყველა მანკიერება საბჭოთა რეჟიმთან არის თანშობილი, მისი ღვიძლი შვილია. აქ საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობაა. „ხალტურა“, „ბლატი“ კომუნისტური წყობის თანამგზავრია. კომუნისტური მანქანის ყველა დიდი და პატარა ხრახნი მას მისდევს, იმით ივსებს ბაგაში ჩაყრილ საკვების რაოდენობას.

დასავლეთში ჩამოსულ საბჭოთა მოქალაქეს ანცვიფრებს პროდუქტების კოლოსალური ასორტიმენტი, ე.ი. რაც გნებავს იმას აირჩევ. მისი სიტყვარი მდიდრდება სიტყვებით „ვიყიდე“, „ვიყიდი“, ვყიდლობ“, თანდათანობით ქრება მის მეტყველობიდან სიტყვები „ვიშოვე“, „ვიშოვე“. ამ ცნებების დაპირისპირება ზედმიწევნით აშიშვლებს კომუნისტურ წყობას. საბჭოთა კავშირში თვითოეულმა კარგათ აითვისა „ბლატი“, საბჭოთა ეკონომიკის სიმახინჯის კანონიერი შვილი.

ამ ტერმინმა, რ ე ჟ ი მ თ ა ნ სოციალურად ახლომ, ქურდების ჟარგონიდან საბჭოთა კავშირის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გადინაცვლა და იქ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. ამის ახსნა-განმარტებისათვის ცხრა-მთას იქედ წასვლა არ დაგჭირდება მას ფესვები საბჭოთა სინამდვილეში უდგას. -არა კანონიერად ყიდლობენ, არამედ „ბლატ“-ით, ძმა-ბიჭობით, ნაცნობობით შოულობენ. ის საბჭოთა რაჟიმთაან ერთად მოულობენ. ის საბჭოთა რეჟიმთან ერთად მობრძანდა და ვითარდებოდა პარალელურად ქაოსთან საბჭოთა ეკონომიკაში.

როცა საბჭოთა გაზეთები ეგრედ-წოდებულ სადეფიციტო პროდუქტებთან დაკავშირებით ბოროტ მოქმედებებზე სწერენ, ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, ვითომც მაღაზიებში საჭირო პროდუქტების უქონლობაში სპეკულიანტებია დამნაშავენი, რომ ეს უკანასკნელნი განაწილების ნორმალურ მსვლელობას არღვევენ. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით ხდება: სპეკულაცია, შავი ბაზარი მაშინ აღმოცენდება, როცა მაღაზიებში საქონელის ნაკლებობაა და თაგვები ოთურმას თამაშობენ.

ამ ჟამად საბჭოთა კავშირში მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება გაუარესდა და ამავე დროს, მსგავსად საზღვარგარეთელ ქვეყნებისა, მრავალფეროვან პროდუქტების მიმართ ლტოლვა გაიზარდა. ასე რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ორმო გაითხარა. ეკონომისტების ენაზე ეს ნიშნავს: თუ წარმოებისა და განაწილების სახელმწიფო სისტემა უძლურია ეს ორმო ამოავსოს — ე. ი. მომხმარებელთა მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მაშინ განაწილებაში კერძო თაოსნობა ერევა.

საბჭოთა კავშირში კერძო თაოსნობის ლონისძიებებით არსებითად იგივე კეთდება, რაც საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებში. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ საბჭოთა კავშირში კერძო ინიციატივის ჩარევა განაწილების სისტემაში კანონით ისჯება და ეს მაშინ, როცა საბჭოთა სამეურნეო ცხოვრების რიგი დარგები კერძო ინიციატივის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია. აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ საბჭოთა კავშირში ცხოვრება ინდივიდუალური ბოსტნეულობის და საკოლმეოურნეო ბაზრის გარეშე? დამახასიათებელია აგრეთვე კერძო თაოსნობის ზრდა შედარებით მისთვის ძნელ დარგებში, — როგორიცაა, მშენებლობა და ტრანსპორტი, რის შესახებ საბჭოთა საქართველოს პრესა უხვ მასალას იძლევა. თუ ძნელია მისი მოცულობის შეფასება, სამაგიეროდ მისი ფუნქცია სრულიად ნათელია: გაკეთება იმისა, რასაც სახელმწიფო თავს ვერართმევს. შეიძლება ამისათვის კერძო თაოსნობის ბრალდებულის სკამზე დასმა, როგორც ამას კომუნისტური ხელისუფლება სჩადის? ეს ჩვენ გ ვ ა გ ო ნ ე ბ ს იმ ბალღის საქციელს, რომელმაც ცემა დაუწყო მაგიდას, რადგანაც მას შემთხვევით დაეჯახა.

სადეფიციტო საქონელთა განაწილებასთან დაკავშირებით ბოროტმოქმედებების გარდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებაში დამნაშავეების მეორე მთავარი ჯგუფია გამოყოფილი: ზომა-წონა-ანგარიშში მოტყუება, მოკლედ ქურდობა. განა აქ საქართველო გამონაკლისია? ან განა ქურდობა მხოლოდ ვაჭრობის სფეროსთვის არის ნიშანდობლივი? საბჭოთა პრესაში ხშირად შეხვდებით წერილებს, რომ ამა და ამ საწარმოდან სადეფიციტო საგნების გატაცებაზე და ამას ადგილი აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამ საგნებით პირადათ თითქმის არავინ არ სარგებლობს, არამედ მათ ჰყიდიან. რატომ? პასუხი ელემენტარულია: მათ ფული სჭირდებათ. ჩვენი ქვეყნის — საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პატიოსანი ხალხია, მაგრამ თუ ის უკანონო მითვისება მაინც შეინიშნება ფართო მასშტაბებში — მას განსაკუთრებული მიზეზი აქვს, — შრომის მეტად დაბალი ხელფასი. ხელფასი უჩვეულოდ დაბალია მომსახურების და ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ს ფ ე რ ო შ ი ადამიანის მორალური სიმტკიცე აქ მძიმე გამოცდის წინაშე სდგას: ერთი მხრით ოჯახს გაჭირვებით გააქვს თავი„; მეორე მხრით, მაცდუნებელი საქონლის შეძენის შესაძლებლობა შავ ბაზარზე. აი, მიაქვს ადამიანს რაიმე... რა მოხდა მერე! ჭექა-ქუხილის დაყენება მის მისამართზე ადვილი საქმეა და ეს მაშინ, როცა ეს ჭექა-ქუხილი თვით ხელისუფლების წინაამდეგ უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან მთელი ამ მანკიერების ფესვები ხელმძღვანელობის პოლიტიკაშია საძიებელი.

ერთად-ერთი, რაც ამ საქმეს უშველის ის არის, რომ ადამიანი შორს იყოს დაყენებული ცდუნებისაგან, რომ თავისი ხელფასი ეყოს არა ხუთი დღისთვის, და რომ მაღაზიაში ყველა აუცილებელი პროდუქტების ყიდვა შეეძლოს. აი მაშინ მყისვე გაქრება სპეკულაცია და ყოველგვარი სახის მახინჯი კომბინაციები და ხმარებიდანაც გავა ყველა დამალონებელი სამწუხარო სიტყვები; „მძარცველობა“, „საქონლის დახლიდან ჩუმ-ჩუმად გაყიდვა“, „წონა-ანგარიშში მოტყუება“ და „სახელმწიფოსახალხო ქონების დატაცება“.

სახელმწიფო საკუთრება სრულიადაც არ ნიშნავს საერთო სახალხო საკუთრებას, რადგანაც სიმდიდრის მესაკუთრედ ის ითვლება, ვინც ამ სიმდიდრეს განაგებს, ხალხს კი ამის შესაძლებლობა არა აქვს. ლამაზი ფრაზები ბრწყინვალე მომავალზე, მუშათა კლასთან სიტყვიერი გაიგივება — ყველაფერი ეს კრემლის მესვეურობის მიერ თავისი სრული ძალაუფლების დასაფარავად არის გამოყენებული. მთელი ოფიციალური იდეოლოგია თავგამოდებით იცავს მონოპოლურ საკუთრებას, სახელმწიფოს აბსოლუტური ძალაუფლების ოდნავი კრიტიკაც კი კაპიტალიზმის რესტავრაციად საღდება.

საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ერთ-ერთი მთავარი ჭირი ის არის, რომ მათ მართავს ყოვლის შემძლე, გაუმაძღარი, მსუნაგი პარტიული ბიუროკრატია, რომელიც უმოწყალოდ ძარცვავს და ყვლეფს ხალხს. რაც შეეხება, კერძოდ საქართველოს — ის მოსკოვის საწველი ფურია. აბა ვინ მოსთვლის რა არ მიაქვს მოსკოვს საქართველოდან — ყველა შემოსავლის და ჭირნახულის ლომის კერძი. აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ საქართველოში მოარული ანეგდოტი; საბარგო ავტომობილს ციტრუსოვანი ნაყოფებით ტვირთავდნენ; ერთი გურული საქონლის მიმღებს უყვირის — შე დალოცვილო! ყველაფერს რომ ვანკებს უგზავნით, განა აქაც საკმაოდ არა გვყავს ვანკებიო.

კომუნისტები ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდან გაჰყვიროდნენ: „ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს“. მაგრამ კომუნიზმის ბელადები იმ სასახლეებში მოკალათდნენ, რომელთაც ომი გამოუცხადეს. ქვედა ფენებს სასახლეები არ ეყოთ და აი დაიწყეს პერსონალური აგარაკების და სახლების შენება იმ სახსრებით, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. საბჭოთა მესვეურები განუხორციელებელ გეგმებს იძლევიან. ქვედა ფენები ფიქტიური მოხსენებებით და გეგმების გადაჭარბებული შესრულებით უპასუხებენ. სახელმწიფოს სათავეში მდგომნი ძარცვავენ ქვეყანას, რომლის ღირებულებანი პარტიულ სალაროებშია მოთავსებული. ქვედა ფენებმა, გაუგეს რა გემო, თავის მხრივ, ძარცვავენ ამ სალაროებს. მათი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით. აქ დაიწყო ბრძოლა ყველას წინაალმდეგ. მოხუცთან და ახალგაზრდასთან, ვაჟთან და ქალთან, ბრძოლა ქალაქად და სოფლად ბრძოლა მუდმივი, ხანგრძლივი, თან ჩუმი, მაგრამ უტეხი და შეურიგებელი.

ასეთ მოვლენების წინაალმდეგ ბრძოლა ადმინისტრაციული ზომებით ობოლი ოცნებაა. ესენი არ არიან „კულაკები“, კაპიტალისტები — ეს მთელი მოსახლეობა არის. ამათ დასატევ ციხეებს ვერავინ ააშენებს და საკმაო დარაჯებს ვერ შეკრებს.

საქართველოს დღევანდელმა საჭეთმპყრობელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ხალხის სულისკვეთებას, მათ აქედანვე მართებთ ხალხთან შემარიგებელი მოქმედების გეზის მტკიცედ აღება. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს ძველი და ახალი დანაშაულის მიმართ სხვადასხვა საზომი აქვს. ის ძველს ადვილად ივიწყებს, ხოლო ახალს ნაკლებად აპატიებს. საქართველოს ამჟამინდელ მძიმე ვითარებაში ისინი მოვალენი არიან ამ გარემოების მოსალოდნელი შედეგები გულმოდგინეთ დააფასონ და ახდილად აიღონ პასუხისმგებლობა ქართველი ერის აწმყოსა და მომავლის წინაშე.

**შ. კალანდაძე**

## მ ე რ ა მ დ ე ნ ე ა?

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ერად ქცევა დაუსახა მიზნად თავის შინაყმებს და ამისათვის აამოძრავა მთელი საბჭოეთის პოლიციური აპარატი.

სწორედ, რომ ქვა აღმართში წამოეწია, თითქოს „ეკონომიურ ჩავარდნებში“ გამარჯვებულ შევარდნაძეს. რუსული იმპერიის საბჭოთა კავშირად გამოცხადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ბრეჟნოვმა წამოაყენა ორი დებულება: 1-ლი. უზარმაზარი რუსული იმპერია უნდა დანაწილდეს შვიდ ეკონომიურ რაიონად და 2-რე — უნდა მოხდეს „საბჭოთა ხალხების“ ასიმილაცია და მისგან შეიქმნეს ერთი დიდი საბჭოთა ერი.

თავისთავად ეს, განმარტებას აღარ საჭიროებს... დღევანდლამდე, ქაღალდზე არსებული, თითქოს რესპუბლიკები, ქაღალდზეც უნდა წაიშალნენ, რადგან ამ ახალი გეგმით, არა რუს „რესპუბლიკების“ სახელმწიფო მეურნეობა, უკვე სცილდება „რესპუბლიკების“ საზღვარს, ხოლო ეროვნული ერთეულების ერთ დიდ, მთავარში (ცდახია რუსულში!) შერწყმა და აქედან წარმოშობილი, ერთი დიდი (რუსული) ერი, საეჭვოდ არასა სტოვებს.

მაგრამ მაინც გავყვეთ ბრეჟნოვის მოსაზრებებს და აქედან ნათელი იქნება მაისს-ივნისში მომხდარი თბილისის „არეულებები“, და მისი „სტალინური“ სულისკვეთება.

(გაგრძელება იქნება)

**დ. ვარდიაშვილი**

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ ნომ. 93)

გენ. ვლასოვის მოძრაობას გერმანული სამხედრო უწყება მფარველობდა, ხოლო ჰიტლერის ახლო წრემ, ალბად მისივე ბრძანებით, მას განვითარების შესაძლებლობა არ მისცა და ეს მხოლოდ საპროპაგანდოდ იქმნა გამოყენებული. რამოდენიმე წელიწადი გაგრძელდა რუსული ანტიკომუნისტური მოძრაობის დამბლა დაცემულობა. გარნა ომის საბოლოო ფაზაში, როცა გერმანიის მარცხი ცხადი იყო, ჰიმლერს მოაგონდა ვლასოვი და დ ი დ ი ს ე ნ ე რ გ ი ი თ მ ო ი ნ დ ო მ ა მისთვის სასწრაფოდ შეესხა ფრთები. პრაგის მანიფესტი და „რუსეთის ხალხების“ კომიტეტის დაარსება, ამის შედეგი იყო. ჰიმლერის ორგანიზაციამ ისიც მოისურვა, რომ „რუსეთის ხალხების“ კომიტეტში კავკასიელები და სხვა არა რუსი ერებიც შესულიყვნენ. თუმცა ვლასოვის დაგვიანებულად გაცოცხლებას მნიშვნელობა აღარა ჰქონდა,

კავკასიელებმა და სხვა არა რუს ერების წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. ვლასოვს კომუნიზმისგან განთავისუფლებული დიდი რუსეთი უნდოდა, ხოლო არა რუს ერების წარმომადგენლებს, რეჟიმის განურჩევლად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ჩვენი პოზიცია არ იყო ანტირუსული, ის იყო და არის მხოლოდ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა, ამიტომ, თვით სახელი „რუსეთის ხალხთა კომიტეტი“ მიუღებელი იყო. ჩვენ მზად ვიყავით ვლასოვთან, ან რუსეთის სხვა წარმომადგენელთან ერთად გვეთათბირა, ამაზე შორს წასვლა კი საკუთარ ეროვნულ ინტერეს სცილდებოდა. ჩვენი პოზიცია სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ჰიმლერისათვის და ის შეეცადა ძალდატანებით მიეღებინებინა ჩვენთვის რუს ხალხთა იდეა. გარნა ეს შეტევები და მუქარა დიდის სიმამაცით და შეუპოვრობით იქმნა მოგერიებული მ. კედიას მიერ, რომელიც ქართულთან ერთად იცავდა საერთოდ არა რუს ერთა პოზიციებს. (იხილეთ: **Thorwald “Wen sie Verderben Wollen” pp. 422-423. Steingrüben-Verlag Stuttgart).**

ომის დამთავების მცირე ხნით ადრე, მ. კედიამ, ზოგ კავკასიელთან ერთად მოახერხა ნეიტრალურ ტერიტორიაზე — შვეიცარიაში წასვლა. მთავარი მიზეზი იყო, გაეცნო დასავლეთ მოკავშირეებისათვის კავკასიელების მდგომარეობა, ჩვენი მიზანი და პოზიცია და დაერწმუნებინა, რომ კავკასიელი ლეგიონები რუსეთისათვის არ გადაეცათ. დასავლეთ მოკავშირეებს და კერძოდ ამერიკელებს შორის მრავალი შეხვედრა და აზრის გაცვლა-გამოცვლა მოხდა. მ. კედიამ მათ მემორანდუმიც მიართვა, რომელიც ერთი ზედმეტი საბუთია მისი სიმამაცის, შორსმჭრეტველობის და საქმისადმი მიძღვნილობის. უშუალოდ კავკასიური საკითხის გარდა, ის ღრმა ანალიზს უკეთებს ომის შემდეგ მსოფლიოს განვითარებას. სხვათა შორის იგი მიუთითებდა ომის გამო დანგრეულ გერმანიის აღდგენის აუცილობლობას, ამას მოითხოვს ევროპის ინტერესებიო. (იხ. მემორანდუმის ასლი. ყველა დასახელებული დოკუმენტები ინახება ამ წერილის ავტორთან). ასეთი აზრის გამოთქმა დიდ გაბედულებას მოითხოვდა, რადგან იმ დროს გამარჯვებულთა ფსიქოლოგია რადიკალურად ეწინაღმდეგებოდა მას. ამერიკის იმ დროინდელი ოფიციალური პირები მორგენტაუს ცნობილ გეგმის განხორციელებას აპირებდნენ. როგორც მორგენტაუს გეგმის, ისე, საერთოდ დასავლეთის იმ დროინდელი სიბეცე, დღეს ყველასათვის ნათელია, მ ი ხ ე ი ლ კ ე დ ი ა ს პოლტიიკური ვითარების ანალიზის სისწორე კი მომდევნო წლებმა სავსებით გაამართლა. გარნა ამასობაში დასავლეთელებმა მრავალი მნიშვნელოვანი პოზიცია დაკარგეს და მსოფლიოში შექმნილი კრიზისების უდიდესი ნაწილი სწორედ ამის უშუალო შედეგია.

ამერიკის წარმომადგენლებთან, მ. კედიას შუამავლობით მსგავსი მოლაპარაკებები 1945 წლის გაზაფხულში, — იმ ხანად უკვე გერმანიის ტერიტორიაზე, კიდევ გაგრძელდა; მასში მონაწილეობდნენ: მიხ. ალშიბაია, ალ. ცომაია, ამ სტრიქონების ავტორი და გერმანელებიდან პროფესორი გერჰარდ ფონ მენდე.. სამწუხაროდ, თათბირმა მხოლოდ ნაწილობრივი შედეგი გამოიღო და მან კავკასიელთა უმეტესი ნაწილის გადარჩენას ვერ მიაღწია; თუმცა ჩვენთან მოლაპარაკე ამერიკელებს მდგომარეობა საკმარისად ესმოდათ, მაგრამ მათი მთავრობა ჯერ კიდევ ურეზერვოდ იცავდა ომის დროინდელ აღებულ გეზს, რაიცა რუზველტის, სტალინის და ჩერჩილს შორის „მიღწეულ“ შეთანხმების ჩარჩოებში იყო მოთავსებული.

მოგვიანებით, ეს მოლაპარაკებები პროფ. მენდემ გააგრძელა ინგლისელებთან.

მართალა, მომდევნო წლებში, კრემლის მიერ ხელშეკრულების დარღვევამ და აგრესიულმა საქციელმა „ცივი ომის“ პერიოდი წარმოშვა და დასავლეთმაც თავისი პოლიტიკა შეიცვალა, მაგრამ კავკასიელების გადასარჩენად, ეს დგვიანებული აღმოჩნდა.

კავკასიელებიდან მხოლოდ სომხებს ჰქონდათ, შედარებით უკეთესი მდგომაარეობა. მათ ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკის მრავალრიცხოვან სომხური ემიგრაციის ორგანიზაციებმა ზურგი გაუმაგრეს. გენ. დრომ ეს გარემოება მოხერხებულად გამოიყენა სომხების გადასარჩენად. კერძო შემთხვევებში სომხობა ზოგ სხვა კავკასიელსაც დაეხმარა, რისთვისაც მადლობა დაიმსახურა.

ზემოთ აღნიშნული მხოლოდ მოკლე ჯამია ქართული შტაბის პოლიტიკური განყოფილების საქმიანობის, მიხ. კედიას ხელძღვანებობით გაწეული. დარწმუნებული ვართ, რომ თავის დროზე ეს შესანიშნავი მამულიშვილი, საქართველოს მატიანეში ღირსეულ ადგილს დაიჭერს.

***

ქართული შტაბის ფინანსიური განყოფილების უფროსად და შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილედ დაინიშნა მიხეილ. ალშიბაია. ის შტაბში წარმოადგენდა ეროვნულ დემოკრატებს. მან მიუნხენის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა, რის შემდეგ პოლონეთში

## ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება იქნება)

ბროსეს ცნობით ორივე ძმებს 1741 წელს დასთხარეს თვალები. სწორედ ერთი წლის შემდეგ რაც ქსნის საერისთავო გივი ამილახორმა ჩაიბარა, ის შიდა ქართლში შეიჭრა და აჯანყების დროშა ააფრიალა. ბრძოლა სპარსეთისა და კახეთის ბატონ თეიმურაზის წინაალმდეგ ოთხ წელს გრძელდელოდა. მრისხანე შაჰი აჯანყებულს მრავალჯერ შეპირდა პატიებას და შერიგებას, მაგრამ გივი მას მაინც არ ენდო და არ დანებდა. ბოლოს დედოფალი თამარი მივიდა მასთან სურამის ციხეში, შერიგება სთხოვა და თავდებად დაუდგა. გივი მას დანებდა და სურამის ციხე გადასცა.

გივი ამილახორის განდგომის შესახებ ბუტკოვი ცოტა სხვა გვარ ცნობებს გვაწვდის:

თეიმურაზი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ქართლის შემომტკიცებას, რასაც ხელს უწყობდა ქართლის ბაგრატიონთა რუსეთში გადახვეწა და მათგან ირანის საბოლოოდ გადაკიდება. მაგრამ თეიმურაზის ამგვარ ცდებს, როგორც ვიცით, მუდამ წინ აღუდგებოდნენ ხოლმე ქართლის დიდი ფეოდალები, ხან შანშე ერისთავის და ხან გივი ამილახორის მეთაურობით, რომელთაც მხარში უდგა მისი ძმა დიმიტრი, ისე, როგორც შანშეს მისი ძმა იესე. ქართლის ფეოდალები დიდი შურით უყურებდნენ თეიმურაზ-ერეკლეს მომძლავრებას და თვალი ისევ რუსეთში მყოფ ვახტანგისა და მის მემკვიდრეებისკენ ეჭირათ. თან ოსმალეთს და მის ვასალებს გამუდმებით შიკრიკებს უგზავნიდნენ და დახმარებას სთხოვდნენ.

„თეიმურაზმა სცადა გივის და მისი ძმის მოკვლა“, ამბობს ბუტკოვი, „მაგრამ გეგმა ვერ შეასრულა. ამან უფრო გააბოროტა ამილახორი. ისინი სულ გადგნენ, ხელთ იარაღი აიღეს და მრავალი ადგილები ქართლისა ხელთ იგდეს და ვახტანგის შვილებს მოუწოდეს. რუსეთშიაც ყველანი გ. ამილახორს ბაქარის მოადგილეთ სთვლიდნენო“.

„გაჭირვებაში ჩავარდნილი თაიმურაზი ისევ ნადირ შაჰს მიმართავდა ქართლის ამხედრებულ თავადების დასაცხრობად“, განაგრძობს ისტორიკოსი, „ხოლო ამილახორები კი თურქეთს მოუწოდებდნენ. თურქებმა დაიჭირეს რუისი, ხოლო სპარსელებმა გორი. მაშინ თურქებმა წარგზავნეს ხაზინა დაღესტანში ლეკთა რაზმების დასაქირავებლადო და სხ.“

გ. ამილახორის გააფრთებული წინაალმდეგობა არა მარტო ნადირშაჰის მიერ ქართლზე გაწერილ გამანადგურებელ გადასახადებით ყოფილა გამოწვეული, არამედ იმ მტკიცე ერთგულებითაც, რომელსაც ის ქართლის ბაგრატიონებისადმი იჩენდა. მას ერთგულება მაშინაც კი არ დაუგდია, როცა 1744 წ. სურამის ციხეში გამაგრდა და ალყა შემორტყმული, ნახევრად დანგრეულ ციხიდან, თეიმურაზს გააფრთებით ებრძოდა. ის მზად იყო ციხე თურქებისათვის გადაეცა, ოღონდ კახეთის ბატონს არ დარჩენოდა. სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყანა დედოფალმა თამარმა იხსნა. მან განსაკუთრებულ სიბრძნესთან ერთად საოცარი მხნეობა გამოიჩინა და ქართლის აჯანყებულ ფეოდალებს უშიშრად ეწვია . . . მან თავისი თავი ქართლის ტახტის მემკვიდრეთ აღიარა და განმდგარ ფეოდალებთან დინჯი მოლაპარაკება გამართა, ვითარცა ვახტანგ მეფის ასულმა და მემკვიდრემ.

დედოფალი ითხოვდა: დროებით, ვიდრე ნამდვილი მემკვიდრენი (ბაქარი და ვახუშტი) რუსეთიდან ჩამოვიდოდნენ, ქართლის უზენაეს მმართველად ის ეცნოთ. ადრევე კი ეწვია შაჰნადირს, რომელიც დაღესტანში ლეკებს ეომებოდა და სთხოვა ქართლის მმართველობა დროებით მისთვის ჩაებარებინა. შაჰმა მას საამისო ფირმანი უბოძა და იმედი გამოქვა, რომ თამარის სიბრძნე ამხედრებულ ქართლს დააცხრობდა. სპარსეთისაგან ზურგ გამაგრებული კახეთის დედოფალი ქართლის შემომტკიცებას შეეცადა. თამარმა თავისი გეგმა დიდი ღირსებით და წინდახედულობით ჩაატარა. ქართლის თავადები მართლაც დააყვავა და ბოლოს იმას მიაღწია, რის მიღწევა ვერც ყეენისა და ვერც თეიმურაზის ჯარმა ვერ შესძლო. პატიოსანმა სიტყვამ და ფიცმა ვახტანგ მეფის ასულისამ შეუდრეკელ გივი ამილახორის აუღებელ ციხის კარები გააღებინა და მან თამარს მორჩილება გამოუცხადა.

ასე დამთავრდა იმხანად ქსნის და არაგვის საერისთავოს და მასთან მთელი ქართლის აზვავებული მდგომარეობა. „ქართლში“, დასძენს ისტორიკოსი, „ფაქტიური მმართველი გახდა თამარი, რაიც მშვიდობიანად მთელი წელი გაგრძელდა“. ხოლო ამის შემდეგ 1744 წელს, როგორც ვიცით, შაჰნადირი, უკვე შექმნილ მდგომარეობას შეურიგდა, სრულიად მოსპო აჯაკალეხანის უფლებები, რომელიც შაჰის დავალებით, თათრულ რაზმებით, აღმოსავლეთ საქართველოში იდგა და ქართლ-კახეთის სამეფოებს და მეფეებს სასტიკ თვალყურს ადევნებდა. მისი რაზმები შაჰმა თეიმურაზს დაუმორჩილა, ხოლო 12.000 ოჯახი დემურჩალის თათრებისა ხორასანში წაასხა. ქართლის ტახტი თეიმურაზს და კახეთის ერეკლეს დაუმტკიცა, დიდი ზეიმით, ქრისტიანული წესით ეკურთხნენ მცხეთაში.

შაჰნადირმა თამარისა და თეიმურაზის შუამდგომლობით გივი ამილახორი თავში თუმცა შეირიგა, მაგრამ ქართლის დაცხრომის მიზნით მისი დაპირება შესცვალა და გ. ამილახორიც ხორასნის გზას გაუყენა.

სწორედ იმ ხანში ძლევამოსილ შაჰნადირს კახეთის მეფე-დედოფალი საგანგებო თხოვნით მიმართავდნენ შანშე და იასე ერისთავები და მათი ოჯახების შესახებ და ევედრებოდნენ: ამდენი ვაების და ტანჯვის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ.

გივი ამილახორის დაცემის შემდეგ, ქსნის ერისთავები ქართლის მყუდროებას ველარ დაარღვევენო. ბრმა ძმებს თავისი ქედმაღლობა ხომ სინათლესთან ერთად ჰქონდათ დაკარგული! შაჰნადირს ეს თხოვნა შეუწყნარებია და და ისენი სამშობლოში დააბრუნა.

ამ ხანებში მეფე თეიმურაზ მეორეს და მის შვილს ერეკლეს იმდენი პატივი და ნდობა ჰქონდათ მოპოებული, რომ შაჰნადირი მათ თხოვნას განსაკუთრებულ ყურადღებით ხვდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ქართლის შემომტკიცების მიზნით, მეფე-დედოფალმა გივი ამილახორის პატიება და უკან დაბრუნება ითხოვეს და მალე დიდი სიმდიდრე-წყალობით ეს დიდი ფეოდალიც ხორასნიდან სამშობლოში დააბრუნეს.

ასე დამთავრდა იმ ხანად ქართლის თავადების ბრძოლა სპარსეთის უძლიერესი შაჰის, ნადირის წინაალმდეგ.

„შანშეს დაცემამ დასცა და დაასუსტა თავადების ჯგუფი და მათი მეთაური . . . მართალია, გივი ამილახორი ჯერ კიდევ იბრძოდა, მაგრამ ამ ბრძოლის ბედი ეხლა უკვე გადაწყვეტილად სჩანდაო“, ამბობს მკვლევარი ს. კაკაბაძე. (იხ. მისი „საქ. ისტორია“ ახალ საუკ. ეპოქა, გვ. 167).

ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის დამშვიდებისათვის შანშე ერისთავის დამარცხებას და მის შემორიგებას.

თეიმურაზ-ერეკლეს სახელმწიფო დიდ ფეოდალების მიერ გამოწვეულ რყევებს გადაურჩა, ის ჩიხიდან გამოვიდა და მტკიცე ნიადაგზე დადგა. როგორც ვნახეთ, შაჰნადირი 1744 წ. იძულებული გახდა ქართლ-კახეთის გაერთიანებას და მის მამა-შვილისათვის გადაცემას დათანხმებოდა. ქსნის საერისთავო ეხლა კახეთის ბაგრატიონთ უნდა დამორჩილებოდა . . . შანშეს უკვე აღარ არგებდა რუსეთში გადასულ ვახტანგ მეფის და ბაქარის „მხურვალე მოპატიჟებანი“. ის ეხლა თეიმურაზ-ერეკლეს შებრალებით შეიწყალეს და ხორასნიდან ჩამოიყვანეს. ხოლო მის ერთგულ ძმას, იესე ყულარაღასს, როგორც ირკვევა, ამ წყალობით ველარ უსარგებლია: ხორასანიდან განთავისუფლების შემდეგ, სამშობლოსაკენ წამოსული, გზად გარდაცვლილა და მხოლოდ მისი ცხედარი მოუსვენბიათ საყვარელ სამშობლოში. მისი ოჯახი კი, სჩანს, მშვიდობით დაბრუნებულა და დაქვრივებულ ქეთევანს, ჯერ თავის საყვარელ კახეთში, თავისი ბიძის, კახთა ბატონის სასახლეში, მძიმე ტყვეობის შემდეგ, დიდხანს უცხოვრია საყვარელ შვილების და შვილიშვილების წრეში. შემდეგ კი თავის სამფლობელო, ქსნის საერისთავოში გადასახლებულა. დანარჩენი ცხოვრება მან შვილის, დავითის (ერისთავობდა 1751-1757 წწ. და მას შემდეგაც) შვილების აღზრდას შესწირა და უკვე მოხუცებულმა 1773 წ. მოჰქარგა საგანგებო ფარდა და შვილების და შვილიშვილების მოსაგონებლად, თუ სადღეგრძელოდ, თბილისის სიონს უძღვნა.

ეხლა ჩვენ მისი შვილიშვილების უკანასკნელ ამბებზეც გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ და მოკლეთ მაინც აღვნიშნოთ მათი მრავალმხრივ აუხსნელი და ხშირად უცნაური თავდადება რუსეთის დასამკვიდრებლად 1801 წლის შემდეგ ხშირად აღელვებულ საქართველოში.

ჭეშმარიტად, ეს შეუპოვრობა და განდგომა ქართველი ხალხისაგან, მტრის ბანაკში მოკალათება და იქედან ქართველების წინაალმდეგ ხმლის ტრიალი, მათ მოსდევდათ შანშე ერისთავის უტეხი ბუნებიდან, შურიძიებისა და გაბოროტებისაგან და ამას არაფერი არა აქვს საერთო ღმობიერ და ქრისტეს მოყვარე ქალის, ქეთევანის წმინდა და ერთგულ ზრახვებთან.

იმ უამრავ ციხეებიდან, რომლებსაც ვახუშტი „ქსნის აღწერაში“ იხსენიებს, ჩვენ აქ ყველა არ მოგვიტანია, მაგრამ ნათქვამიდანაც სჩანს, თუ რაგვარად ყოფილა მოფენილი ეს, თავისთავად, მაგარი და მიუვალი ადგილები, მრავალ ციხე-კოშკებით.

„კოშკნი წარიგებულნი, მრავალნი და კეთილნაშენნი“ ისე შეუვალად ხდიდნენ საერისთავოს, რომ მათი პატრონების ქართლ-კახეთის მეფეებს მუდამ დიდ ურჩობას უწევდნენ. დიდმა ერეკლემ, ქსნის ერისთავებს ბევრი ღალატი დაუვიწყა, მაგრამ მათ ტრადიციული განდგომა მაინც არ მოიშალეს . . . ბოლოს ერეკლემ, 1778 წ., როცა მას გიორგი ერისთავმა უღალატა, ის შეიპყრო და ქსნის საერისთავო სამუდამოდ გააუქმა.

ისტორიკოს დავით ბატონიშვილს თავის „მასალებში საქართველოს ისტორიისათვის“ საკმაო დაწვრილებით მოჰყავს ერეკლეს მიერ ქსნის საერისთავოს გაუქმების ამბავი. მისი ცნობით ეს უნდა მომხდარიყო 1778 წელს და არა 1777 წ., როგორც მარი ბროსეს კომენტარიებშია აღნიშნული.

დ. ბატონიშვილი სწერს: „ჟამსა ამას (1778) უკუ დგა ყულარ აღასი გიორგი ერისთავი ქსნისა და რაოდენ გზისცა აწვია მეფემან, რათა დაუტევოს უგვანი ესე საქმე და მოვიდეს მონანებასა ქუეშე, გარნა მან არა უსმინა მას, და ვინაითგან ქალიცა თვისი ანასტასია მიეცა მეფესა ძისა მისისა რევაზისათვის, ამის გამო არა სწადდა დამდაბლებაი მისი და ვინაითგან ვერა რაიმე შეაგონა მას მეფემან, ამას ზედა განწყრა და წარავლინა ძე თვისი უპირველესი გიორგი და ლეონ, რათა დააცხრონ ამბოხი მისი“.

მაგრამ ვერც ამან გასჭრა და ერეკლეს მოციქულებს განმდგარმა გიორგიმ ყური არ ათხოვა. ის შანშე ერისთავის გზას გაჰყვა, შეკრიბა ლეკთა რაზმები და ყველაზე უფრო მაგარ ციხეში, სიათაში, ჩაიკეტა. მაგრამ ბატონიშვილების წინამძღოლობით წარგზავნილი ერეკლეს რაზმებმა მკვეთრად შეუტიეს გნმდგარ ერისთავს, რომელიც დიდებულმა მეფემ დაიახლოვა და ძე მისი სიძეთ გაიხადა, ქსნის შემომტკიცების მიზნით.

გამარჯვება ერეკლეს ჯარს დარჩა. ბატონიშვილებმა სიათის მიუვალი ციხე გატეხეს, ურჩი გიორგი შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს.

მწყალობელმა მეფემ თვით მოღალატე არ დასაჯა, მაგრამ ერისთავობა მოსპო და ეს მუდმივი შფოთის და აღრევის ბუნაგი მოშალა, ქსნის საერისთავოს ჯვარი დაუსვა . . . „თუმცაღა“ ამბობს ისტორიკოსი, „სწადდა მეფესა დასცა მისი, გარნა კვალად მიუტევა შეცოდებაი მისი და მიუღო ქსანი და ლიახვი, მთისა ადგილნი სრულიად, ვინაითგან მთათა მათ შინა ინახავდა ლეკთა მხედრობასა და მუნით არბევდა ქართლსა, ვითარცა ავაზაკი . . . ხოლო ესე მთისა ადგილნი განყო მეფემან: ქსანი მისცა უფროსსა ძესა თვისა გიორგის, ხოლო ლიახვი უმრწემესა ძესა თვისსა — იულონს. მაგრამ არც დავით ერისთავის მემკვიდრენი დაივიწყა. სამართლიანმა მეფემ, დავითს, რომელმაც თავისი დედის, (ერეკლეს მამიდაშვილის) შთაგონებით მეფის ერთგულება მრავალჯერ დაამტკიცა, მას და მის მემკვიდრეებს ერეკლემ საკმაო მამული განუკვეთა: „და გვერდისძირი“, გვაუწყებს დავით ბატონიშვილი, „მისცა სარჩოდ შვილთა დავით ერისთავისათა და ძეთა ალაბაზასთა, რომელთაცა არარაიმე შესცოდეს მეფესა მას ჟამსა შინა, ხოლო ყულარაღასი გიორგი დაშთა ტფილისსა შინა უპატიოდ, ვითარცა ტუსაღი“. . .

ასე დამთავრდა ქსნის საერისთავოს მღელვარე ამბები, მაგრამ ქართლში ლეკების თა-

## საბჭოთა საქართველოში გამოცეულ ზოგზერთ წიგნთა გამო

(დასაწყისი იხ. 2-რე გვერდზე)

ბანკის სისტემაში მუშაობდა. მოგვიანებით კი საამუნიციო ქარხნის ვიცე პრეზიზენტობა მიიღო. ომის დაწყებისთანავე გერმანულ ჯარში შევიდა იმ მოსაზრებით, რომ ეს იქნებ საქართველოს რითიმე გამოსდგომოდა. მიხ. ალშიბაია დანიშნეს თარჯიმნად, ოფიცრის ხარისხით გენ. ქოლასის სატანკო დივიზიაში. მან მრავალი გერმანელი, და მათ შორის თვით გენერალიც გააოცა თავისი ს ი მ ა მ ა ც ი თ, გაჭირვების დროს ხასიათის სიმტკიცით და ამხანაგობის დიდი უნარით. გენ. ქოლასიმ ის წარადგინა პირველი ხარისხის რკინის ჯვარზე, რომელიც მიხ. ალშიბაიამ მიიღო არმიის მთავარი სარდლობისაგან. ამგვარად იგი პირველი ჯილდოს მიმღები ქართველი იყო. როგორც ფინანსიური განყოფილების უფროსი და ბიუჯეტის მმართველი, მიხ. ალშიბაია ყოველ ქართველს უწევდა ყოველგვარ დახმარებას. მისი გულკეთილობა და ადამიანთა პირობების განჭვრეტის თვისება, არა ჩვეულებრივი იყო. მ. ალშიბაიას, როგორც სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილეს, ხშირად უხდებოდა მოგზაურობა ქართული ნაწილების სანახავად და იქ არსებული მ დგომარეობის შესასწავლად. მან დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო განყოფილების საქმიანობაში, რომელზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

სამხედრო განყოფილების უფროსად არჩეულ იქმნა ამ სტრიქონების დამწერი, როგორც წარმომადგენელი ქართველი ლეგიონერების და სხვა მხედრების — არა ლეგიონის ნაწილებიდან (მაგ. „ბერგმანი“). ეს მოხდა ავტორისათვის მოულოდნელად და მისი გეგმების საწინაალმდეგოდ. უპირველეს ყოვლისა, ამის შესახებ, თაისებური დამაჯერებლი ლოღიკით მელაპარაკა მიხ. კედია და განმიცხადა, რომ ეს იყო ყოფილი მთავრობის და საფრანგეთში არსებულ ქართული ეროვნული ერთობის ორგანიზაციის სურვილი.

ასეთივე მიმართულებით ჰქონდათ ჩემთან საუბარი ალექსანდრე ასათიანს, ვიქტორ ნოზაძეს, მრავალ ჩემთან ერთად „ბერგმანში ნამსახურ ქართველებს და სხვა მეგობრებს.

გერმანელების მხრივ გენ. კოსტრინგმა, პროფ. მენდემ და „ბერგმანის“ ყოფილმა მეთაურმა პროფ. ობერლენდერმა ასეთივე აზრი გამოსთქვეს და იძულებული გამხადეს დავთანხმებულიყავი. (იხ. ჟურ. „მამული“ 1955 წ. მეექვსე ნომერი, გვ. 205 და წიგნი: **Zwischen Hakenkreuz und Soviet Stern. Patrik Von zur Mühlen pp. 114**).

1943 წლის ოქტომბერში, ქართული შტაბის დაარსებისთანავე, მის სამხედრო განყოფილებას დაევალა არსებული ქართული ლეგიონის, მისი ბატალიონების და ყველა სხვა გერმანულ სამხედრო ნაწილებში არსებულ ქართულ სამხედრო ერთეულების აღნუსხვა, მდგომარეობის შესწავლა, არსებული ნაკლის, შეძლებისდაგვარად გამოსწორება, ქართველი ჯარისკაცების ფიზიკურად გადარჩენა და მათგან საქართველოსათვის საჭირო ეროვნული ძალის მომზადება, იმ შემთხვევისათვის თუ შესაფერი მომენტი დადგებოდა.

ზოგი ნაწილები ამ დროს განრიგებული იყვნენ საფრანგეთის და პოლონეთის ტერიტორიებზე. შტაბის სამხედრო განყოფილება შეეცადა ქართველი ჯარისკაცებისათვის შთაეგონებინა, რომ მათ ადგილობრივი მოსახლეობა არ შეეწუხებინათ, რომ ქართველები პოლონეთის და საფრანგეთის ტრადიციული მეგობრები იყვნენ; რომ ჩვენ მათ არ ვეომებოდით და ნაწილების იქ ყოფნა გერმანული მთავარსარდლობის განკარგულებით მოხდა და ჩვენ იძულებული ვიყავით ეს მიგველო.

ყველა ქართული ნაწილები იყვნენ გერმანული სამხედრო უწყების განკარგულებაში და ქათული შტაბის სამხედრო განყოფილებას უფლება არა ჰქონდა უშუალოდ ჩარეულიყო მათ საქმეში, ან ბრძანება გაეცა. ერდად ერთი საშუალება იყო გენ. კოსტრინგისათვის მიემართა და მისი დახმარებით მომხდარიყო ჩვენს მიერ საჭიროდ მიჩნეული ცვლილება. ასევე ცხადია, რომ ქართულ შტაბს მონაწილეობა არ მიუღია ქართველ ოხალისეების მოგროვებაში და მათ სამხედრო ერთეულებად ჩამოყალიბებაში. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოხდა გერმანულ სამხედრო უწყების ინიციატივით, ქართული პოლიტიკური წრეების დაუკითხავად. ამგვარად, 1942 წ. 22 თებერვალს ქართული და სხვა კავკასიური ლეგიონები შეადგინეს. იმავე წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე ლეგიონის ბანაკზე აღმართეს ქართული სამფეროვანი დროშა და არმიის უმაღლეს სარდლობის განსაკუთრებულ ბრძანებაში აღინიშნა, რომ ამიერიდან ქართველი ლეგიონერები ეროვნული დროშის ქვეშ იწყებენ ბრძოლას თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის. მიუხედავად ამ სასიამოვნო სიტყვებისა ქართული ლეგიონის ისტორია სავსეა სიძნელეებით, დაპრკოლებებით, შეცდომებით და სხვა არა სასურველი მოვლენებით. უპირველეს ყოვლისა ლეგიონს სჭირდებოდა ყველასათვის გასაგები პოლიტიკური საფუძველი. ცხადია, გერმანული სამხედრო უწყება ამას ლეგიონერებს ვერ მისცემდა, რადგან ჰიტლერს გარკვეული გეგმა კავკასიისადმი არა ჰქონდა და იგი გერმანიისაგან ცნობილ, და აღიარებულ ქართულ პოლიტიკური ცენტრის დაარსების უფლებას არ იძლეოდა. გარდა ამისა მრავალი ლეგიონერი მოწამე გახდა, თუ როგორი იყო ჰიტლერის გერმანიის „პოლიტიკა“ დაპყრობილ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე; მაგ. პოლონეთში, უკრაინაში და რუსეთში, თუმცა ჩრდილო კავკასიაში ასეთი რამე აღარ განმეორებულა.

(გაგრძელება იქნება)

გ. გაბლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქსნის საერისთაო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(გაგრძელება იხ. 3-მე გვ.)

რეშს მაინც ბოლო არ მოეღო, სადაც ქსნის და არაგვის საერისთავოთა მოპატიჟებით მათ ყველა გზები კარგად აითვისეს და განაგრძეს ქართლის აოხრება... ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ მეფე ერეკლემ იმავ 1778 წ. მორიგი ჯარი დააწესა, რამაც ქვეყანა მართლაც იხსნა ლეკების საშინელი თარეშებისაგან.

ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ ერისთავების მომხრეები შეეცადნენ ხალხში უკმაყოფილების და ყალბი ხმების გავრცელებას. მაგ. მათ ხმა დაარხიეს, თითქოს, მეფე ამ მამულს კვლავ დაუბრუნებდა მის უძველეს მეპატრონეებს, — ქსნის ერისთავების მემკვიდრეებს.

ამგვარი ჭორების გასაფანტავად ერეკლემ საგანგებო ბრძანებით (პროკლამაციით) მიმართა ქსნის ხეობის მოსახლეობას... „ერთობით ოსნო და ქართველნო", ბრძანებდა ერეკლე, „მერე ჩვენ ქსანი და ლიახვი ორისავ წილი ჩვენ სახასოთ დავდევით. თქვენთან სხვას არას კაცს ხელი აღარა აქვს... ამას ფიცით გწერთ, რომ ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება. ამაზე ყოველმა კაცმა გული დააჯერეთ. თვენ ნურას კაცს საფიქრებელი ნურა გაქვთ რა. ჩვენგან წყალობის მეტი, ავი არა დაგემართებათ რა. ჩვენც ხვალ ახალ გორს ღვთით მოვალთ, თქვენ კომლათ კაცნი იქ ჩამოდით, ჩვენგანაც ხათრიცამი შეიქენით და რაც სიტყვა გქონდესთ მოგვახსენეთ.

იანვრის 20, 1778 წ. ერეკლე.

ვინაიდან ბრძანება იანვარშია დაწერილი, უნდა ვიფიქროთ, რომ საერისთაოს გაუქმება (ქსნის გიორგი ბატონიშვილისათვის და ლიახვის იულონისთვის გადაცემა) მართლაც 1777 წ. უნდა მომხდარიყო და დავით ბატონიშვილს შეცდომითა აქვს 1778 წ. დასახელებული.

ქსნის საერისთავოს საერთო აღწერა-მიმოხილვის შემდეგ გვინდა გადავიდეთ მისი ერთი დედოფლის (როგორც ვნახეთ, ასე უწოდებდნენ დავით მესამეს დედას), ქეთევანის მართლაც დრამატიულ თავგადასავალზე. სამწუხაროდ, ძნელი შეიქმნა ზუსტად და გადაჭრით იესე ყულარაღასის მეუღლის და დიდი შანშეს რძალის ვინაობის დადგენა. ჩვენ მაინც შევეცადეთ იმ წყაროებზე დაყრდნობით, რაზედაც უცხოეთში ხელი მიგვიწვდებოდა. უმთავრესად ეს არის დავით ბატონიშვილის „მასალები", „ქართლის ცხოვრება", პაპუნა ორბელიანი და მარი ბროსეს განმარტებები, მურავიოვის „საქართველო და სომხეთი", ისტორია ალ. ორბელიანის, მ. ჯანაშვილის, ს. კაკაბაძის და სხვ.

სამწუხაროდ ქეთევანის ვინაობა დანამდვილებით არსად არის მოხსენებული (გარდა გაკვრითი ცნობებისა, რაიც ერთ მოხუც მოგზაურს მურავიოვისათვის უამბნია).

ქეთევანის შესახებ პირველი ცნობები მოგვაწოდა აკ. ექ. თაყაიშვილმა.

შემდეგ ალ. ორბელიანის და მ. ბროსეს დაკვირვებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქეთევანი შესანიშნავ ქალთა დასს ეკუთნის და რომ ის სამეფო ოჯახის წევრია.

როგორც ირკვევა ქეთევანი უნდა იყოს შვილიშვილი ერეკლე პირველი ნაზარალიხანისა, რომელიც კახეთში გამეფდა 1675 წ., ხოლო ქართლში კი ორჯერ: 1688 და 1695 წწ. მიიცვალა ისპაჰანში 1710 წ. მისი შვილები იყვნენ: დავით (იმამ ყული ხანი), რომელიც ქართლში მეფობდა 1703 წ. მამის ისპაჰანში გაწვევის შემდეგ, მეორე ვაჟი კონსტანტინე (მაჰმედ ყული ხანი), მესამე კი ცნობილი მეფე-მგოსანი თეიმურაზ მეორე (მამა ერეკლე მეორესი).

ქეთევანი უნდა იყოს თეიმურაზ მეორის დის, მაკრინე ბატონიშვილის ასული. მარი ბროსეს გენეოლოგიით ერეკლე პირველს ჰყოლია სამი ასული: ქეთევან — მეუღლე ქიზიყის მოურავის აბელ ანდრონიკაშვილისა, მაკრინე — მეუღლე მოურავ ჩოლოყაშვილისა და ელენე, (შემდეგ იესე მეფის მეუღლე). აი, ამ უკანასკნელის ასული ყოფილა ქეთევანი, მეუღლე ყულარაღასისა. სხვათა შორის ამას ამტკიცებს ქსნის მონასტერის — იკორთის აღწერაც.

„შიგ ტაძარში", გვაუწყებს მ. ბროსე, „ვიპოვნე ხატი მთავარ-ანგელოსისა, მიქელ გაბრიელისა, რომელიც შესრულებულია 1755 წ., ბრძანებითა დავით იესეს ძე ერისთავისა და დედოფალ ქეთევანისა, ასულისა ბატონიშვილ მაკრინესი, ქამსა მოურავობისა იკორთის არქიმანდრიტ ფილიპესი".

მაშასადამე აქ დედოფლად ნახსენები ქეთევან, ქვრივი ყულარაღაზ იესესი, ყოფილა ასული ბატონიშვილ მაკრინესი.

დაახლოვებით ამავე შინაარსის წარწერა ამოუკითხავს მ. ბროსეს ლარგვისის მონასტრის ერთ-ერთ მხატვრობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ლარგვისის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც ფრიად დაზიანებული ყოფილა, 1762 წ. საფუძვლიანად განუახლებიათ ერისთავთ-ერისთავ დავითს და მის დედას ქეთევანს „ძისა დავითისა, — შალვას კეთილად აღსაზრდელად". ბროსეს აზრით აქ ნახსენები ქეთევანი, ბატონიშვილ მაკრინეს ასული უნდა ყოფილიყო; ხოლო იმ ხანებში სხვა მაკრინეს გარდა ერეკლე პირველ (ნაზარალი ხანის) ასულისა, ჩვენ ვერსად ვხვდებით.

ქეთევანის დედა ცნობილია კიდევ მარიამის სახელით, ხოლო მისი უფროსი ძმა, სეფევიდების ერთგული დავითი, რომელიც ერეკლე პირველის (ნაზარალი ხანის) ისპაანში გარდაცვალების შემდეგ, იმამ ყული ხანის სახელით კახეთში გამეფდა, თავის დას, მაკრინეს, ხვარაშანის სახელით ნათლავს. როგორც ირკვევა, მამის გარდაცვალების შემდეგ თავის დებზე მზრუნველობა (აღზრდა და გათხოვება) მას აუღია ხელში, როგორც უფროს ძმას და მეფეს.

ქეთევანის დედა, მაკრინე, იგივე ხვარაშანი, მას მიუთხოვებია ცნობილ ფეოდალ გარსევან ჩოლოყაშვილისათვის, რომელიც თუშფშავ-ხევსურთა მოურავი ყოფილა.

მოვიყვანოთ შემოკლებით მეფის სამზითვო სიგელი, ქეთევნის დედის გათხოვებისას დავითს რომ მიუცია მისთვის. სხვათა შორის ეს დოკუმენტი საყურადღებოა პოეტ დავითის ამაღლებულ სტილითაც. ... „აღმოცენებულმა დავით დავითიანმა, იესიანე, სოლომონიან, პანკსატოვანთა ძემან, მეფემან და თვით ხელმწიფემან... ერანის მფლობელის მაღლის ხელმწიფისაგან შვილურად აღზრდილმან დავით იმამ ყული ხან და სხვ... რომელმან ვიხილენ ასულნი მამისა ჩემისა და დანი ჩემნი, ვემამე, ვეძმე და ვეპატრონე, განვქორწინეთ, განვათხოვეთ, და მივეცით ერთგულთა და სახელოვანთა მონათა ჩუენთა, რომელმან წადიერებით ვინებე და სიხარულით განვქორწინე სასურველად ჩემდა გამორჩეული, სიცოცხლედ და სიხარულად ჩვენდა შენათვისი, ყოვლისა შვენიერებისა, ბრწყინვალებისა და სახეკეთილოვნებისა მქონებელი, ქცევა საქებელი და საქციელი სანატრელი დაი ჩუენი, ბატონიშვილი ხვარაშან მიუბოძეთ თავადსა წარჩინებულსა, ბრძოლათა, წყობათა და ახოვნებათა შინა ქებულსა.. ჩოლოყაშვილს, ფშავთა და ხევსურთა და თიანეთის მოურავს გარსევანს მივათხოვეთ და უწყალობეთ ჩუენ ქვეყანასა ზედან მზად ჩინებული, ღამისა მნათობლად მთვარედ ნასიტევი დაი ჩუენგან სასიხარულო, რაოდენ მას შვენოდეს და ქებულებასა მისსა შეგვანდეს, ეგოდენითა წესითა განვქორწინეთ ზითევითა და საბოძებელითა... და რაგვარადაც დასა ჩუენსა შეეფერებოდა და მუსაიბობას შეგვანდა... ეგრედ განვგიქორწინებია და უშურველნი წყალობანი მიგვინიჭებიან დისა ჩუენისათვის გვიბოძებია... და სხვ. დაიწერა ქორონიკ. უე", (1717).

ეს სიგელი, როგორც 1761 წ. ერეკლე მეფის წარწერიდან სჩანს, მას განუახლებია და უბოძებია ნამზითვი ქონება და მამული თვის მამიდაშვილის ანასათვის. (ქეთევანის დედისათვის).

† აკაკი პაპავა

## აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. იხ. ქ. აზრი" № 85)

ლინკოლნის ცოლმა შემდეგნაირად აღწერა მისი გაორებული ბუნება: „ის არასოდეს არ ეკუთნოდა არც ერთ ეკლესიას, არ დადიოდა სამლოცველოებში, მაგრამ ღრმა მორწმუნე და რელიგიური იყო; რელიგია კი მისი ბუნებისათვის თავისებური პოეზია იყო".

მაგრამ ამგვარ „პოეზიას" არ შეეძლო ლინკოლნისათვის სულიერი სიმშვიდე და მყუდრო ცხოვრება შეექმნა. თუ გავითვალისწინებთ ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებულ ატმოსფეროს, დაუნდობლობის და მტრობის ფსიქოზს და სამოქალაქო ომის მრისხანებას, ნათელი გახდება ლინკოლნის შინაგანი მღელვარება და გრძნობათა წვა. სამოქალაქო ომამდე ერთ თავის მეგობარს უთხრა: „მთელმა ქვეყანამ დაკარგა ყველაფრისადმი ნდობა; მარადიული მისწრაფებები არსად აღარ სჩანს. ყველგან გაისმის ერთი და იგივე: რა ვქნათ? არის კი რამე გასაკეთებელი? დაფიქრებულხარ შენ ამაზე როდისმე?"

1961 წელს ლინკოლნს ბედმა დააკისრა ამ საკითხების პასუხი ეპოვა. შექმნილ ორომტრიალში შეუძლებელი იყო სამხედრო და პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინება; არავინ იცოდა რას მოიტანდა „ხვალე". მით უმეტეს, შეუძლებლად მოსჩანდა აღძრულ საკითხების გადაწყვეტა.

რუკის ერთის დახედვით, თითქოს, ნათელი ხდებოდა, რომ ომის მოგება შეუძლებელი იყო. სამხედრო უნუგეშობას ზედ ერთოდა პოლიტიკური ხლართები.

ლინკოლნისათვის ნათელი იყო, რომ საკითხი უომრად ვერ მოგვარდებოდა. ამ ტრაღედიას უნდა შერიგებოდა. შემდეგი მწვავებლური საკითხი იყო: თუ ომი გაგრძელდა, მის ხანგრძლივობას გადასწყვეტს თუ არა ჩრდილოეთის ნებისყოფა? შესძლებს პრეზიდენტი, საზოგადოებრივი აზრი იმდენად გამოჭედოს, რომ მან დაამარცხოს ჩრდილოაღმოსავლეთის ვაჭრების ნეიტრალიტეტი და ჩრდილოეთში, თითქმის ფესვ გამდგარი აზრი: „მშვიდობიანათ გაუშვათ დაბნეული სამხრეთელი თანამემამულენი"? უფრო მძიმე იყო მოსაზღვრე მონათმფლობელურ შტატებზე ფიქრი. მართალია ისინი ჯერ არ იყვნენ შეერთებული სამხრეთთან, მაგრამ როგორ პოზიციას დაიჭერდნენ შემდეგში?ომი წინდაწინ იქნებოდა განწირული, თუ არ ექნებოდა მათი დახმარება, ყოველშემთხვევაში ნეიტრალიტეტი მაინც კენტუკის, მერილანდის და დელავერის! ეს კი მოითხოვდა. რომ ლინკოლნს როგორმე უნდა დაება, გაეჩუმებინა რესპუბლიკანური აბოლიციონისტები, რაც მანამდე ვერავინ ვერ მოახერხა.

შინა ვითარებას უფრო ართულებდა ინგლისის საკითხი. ინგლისის პირდაპირ ინტერესებში შედიოდა დაუყონებლივ ეცნო კონფედერაცია. სამხრეთს ჭარბათ ჰქონდა ხორბლეული, ინგლის კი განვითარებული ინდუსტრია. თუ ინგლის ამ თვალწარმტაც „საქმიანობისაგან" ვერ შეაჩერებდა ლინკოლნი, მაშინ ხომ ომი წაგებული იყო!

დღეს, როდესაც წარსულს ვიხილავთ, ყველა ეს საკითხები არარაობად მიგვაჩნია. გვაკვირვებს მხოლოდ, რატომ გაგრძელდა ომი, როგორ გაუძლო ამდენ ხანს სამხრეთმა და საერთოდ რა იმედით დაიწყო ომი, მისთვის სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში? მაგრამ ლინკოლნი თავისი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით, მოვალე იყო ყველაფერი გაეთვალისწინებინა და აეწონ-დაეწონა.

ქვეყნის მთლიანობასთან ერთად, ლინკოლნს უნდა ეზრუნა, უპირველეს ყოვლისა, თავისი პარტიის გაერთიანებისათვის. იმ ხანებში პარტიის წევრებს აერთიანებდათ მხოლოდ მაღალი თანამდებობის მოპოვება და მონობასთან შეურიგებლობა. პარტიის ერთი ნ ა წ ი ლ ი მ ო ი თ ხ ო ვ დ ა მონობის დაუყონებლივ გაუქმებას; მეორე კი იზიარებდა ლინკოლნის სიფრთხილეს, ზოგი კი მზად იყო დაეთმო სამხრეთისათვის და ახალ ტერიტორიებზე მონობის გავრცელების უფლება მიეცათ. ამას ზედ ერთოდა, რომ ყოველი ფრაქციის ლიდერი დარწმუნებული იყო ლინკოლნზე მაღლა იდგა.

ახალი პრეზიდენტის (ე. ი. ლინკოლნის) გარდაწყვეტილება იყო არ მიექცია ამისათვის ყურადღება; არ მიელო მხედველობაში ცალცალკე ჯგუფების ერთი-მეორეში მტრობა და განხეთქილება და შეექმნა ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც, სიმბოლიურად მაინც გამოხატავდა დანგრეული პარტიის გაერთიანებას. ეს საქმე იქიდან დაიწყო, რომ მინისტრის პოსტები შესთავაზა იმ მრავალ რიცხოვან საპრეზიდენტო კანდიდატებს, რომლებიც მან დაამარცხა.

(გაგრძელება იქნება)

არ. დონაური

## მ ც ხ ე თ ა

აქ მოველ ღმერთის მაძიებელი
ცაო, მაჩუქე შენი ცისფერი,
ერთი ცოდვილი მე ძე აბელის
ქვეყნად დავდივარ, ვით აგასფერი!
დავდივარ, დამაქვს ჩემი ვარამი
ცაო, ისმინე ჩემი ჩივილი
კურთხევა თქვენი იყოს არამი,
თუ მეც არ გავხდე მონა მორჩილი!
ცამ შემიწყნარა ... მესმის ღაღადი,
მლოცველთ გალობა, ჩურჩული ხეთა,
გამომეცხადა ნინო ქადაგი,
ამბავს მიყვება ჭაღარა მცხეთა ..
ბაბილონიდან ლტოლვილ წინაპართ
აქ აუგიათ ხიზნის კარავი,
ამ მიწის გარდა, სადაც ეხლა ვართ
არ შეგვიკედლა ძმურად არავინ!
დრო-ჟამს ვკითხულობ ქვათა ეტრატზე
მიხმობს უცნობი იდუმალება,
წარმართ ბრბო ცეკვავს ცეცხლის ენაზე,
არმაზი ბრწყინავს მსუნაგ თვალება.
ნინო ქადაგებს ხითონით ხელში,
მთაზე ასული სვეტად დაესო.
— არმაზი დავცეთ! გაისმა ხალხში,
— აწ ვეთაყვანოთ ჯვარცმულ იესოს!
უფლის ხმა ესმათ მათ სიონიდან,
პალესტინიდან სიტყვა მართალი,
ხმას შეეწირა და სიდონია,
ძმა ელიოზი, აბიათარი ...
მასპინძლისათვის არ გვშურს ჩვენ მხვერპლი,
მირიანთ ძენო, მადლი მახარებს,
აქ ასვენია ჩემს ძმათა ფერფლი
ფრთხილად! რომ ტერფი არ ჰკრათ სამარეს.
კურთხეულ იყავ მიწავ ედემის
წმინდა ტაძარო — სვეტიცხოველო,
ცაო, ისმინე ჩემი ვედრებაც
შენ ჩემი კერპიც ძირს დაანარცხე!
ო, დაამსხვრიე როგორც არმაზი,
ვით უწმინდური გახვიე მურში,
მე დამიბრუნე ღმერთი ლამაზი,
დღენი დავხარჯო მის სიყვარულში!

ისაკო მეგრელიშვილი

## მ ა ი ს ო ბ ა ნ ი უ ი ო რ კ შ ი

მაისის 20-ს, ნაშუადღევის 4-საათზე, სასტუმრო რუზველტის ქართულ-ამერიკული დროშებით მორთულ დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის 55-ტე წლისთავის აღსანიშნავად საზეიმო კრება გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარე, ქ-ნ ელ. ცომაიამ.

ქ-ნმა ელ. ცომაიამ თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის იდეის შესანახად ემიგრაციის მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მნიშვნელობას, რის შემდეგ სიტყვა მიაკუთნა ეროვნული ერთობის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილს.

ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილის სიტყვას მკითხველი გაეცნობა წინამდებარე გაზეთიდან.

ქ-ნმა ნ. თოფურიას ასულმა წაიკითხა მისალოცი დეპეშები, ბ-ნ ნ. შარიამ დამსწრე საზოგადოებას უმღერა ქართული სიმღერების ნიმუშები.

დამსწრეთ გამგეობა გაუმასპინძლდა სუბუქი საუზმით, რასაც მოჰყვა ქართული ცეკვა.

## ა ხ ა ლ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი

ჩვენმა თანამემამულე ა. მელაშვილმა ქართულიდან თურქულად თარგმნა ალ. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა

## ე ლ გ უ ჯ ა

ბ-ნი ა. მელაშვილის მუყაითი შრომა დასაფასებელია და ღირსია ქართულმა საზოგადოებამ მას მეტი ყურადღება მიაქციოს. გაუადვილოთ შრომა და გაღებული ენერგია მისი წიგნის შეძენა-გავრცელებით. თვით მელაშვილს კი უსურვებთ თავის ლიტერატურულ დარგში წარმატებას.

★

საქართველოდან ახლად ჩამოსახლებულ ქართველ ებრაელთა ერთმა ჯგუფმა პალესტინაში გახსნა მოხდენილი რესტორანი.

შენობის წინა ფასადს ამშვენებს შავ მარმარილოზე თეთრად ამოჭრილი;

**GEORGIA**

4, King David Street

რესტორანს მიეძღვნა სამ სართულიანი სახლი. შიგნით ნახავთ ქართულ ჩუქურთმებს, მოზაიკებს და „ვეფხის ტყაოსანი"-დან ამოღებულ სურათებს. იქ შეიძლება მოისმინოთ ქართული მუსიკა და მიიღოთ ქართული გემრიელი კერძი; კუპატი, ჩიხირთმა, ჩახოხბილი, ხარჩო, საცივი და სხ.

ჩვენს თანამემამულეებს ურჩევთ, ვისაც შემთხვევა ექნება ეწვიოს ქართულ რესტორანს. აგრეთვე ურჩიონ თავის უცხოელ მეგობრებს პალესტინის ქართულ რესტორანში იგემონ ქართული კერძები.

**G. A. Press**

**ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

**Mr. G. Djakeli**

***535 E. 78 Street,***
***New York, N. Y. 10021***

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

***EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.***
***EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.***

**752 Broadway**
**New York, N. Y. 10003**
**Tel. 473-0240**